

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2025 წლის 1 აგვისტო

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 27/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.134.016391) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

დანართი №1

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსავლები	24 296 482	25 962 126	30 451 500
გადასახადები	15 382 649	17 085 507	19 471 500
გრანტები	8 330 251	8 355 506	10 124 000
სხვა შემოსავლები	583 582	521 112	856 000
ხარჯები	15 502 736	17 864 521	21 958 100
შრომის ანაზღაურება	5 950 429	6 881 806	8 402 790
საქონელი და მომსახურება	3 388 352	3 846 412	4 795 070
პროცენტი	9 788	5 265	8 500
სუბსიდიები	2 773 961	3 118 151	4 015 200
გრანტები	6 350	1 700	2 100
სოციალური უზრუნველყოფა	1 491 465	1 843 415	1 714 800



სხვა ხარჯები	1 882 390	2 167 771	3 019 640
საოპერაციო სალდო	8 793 746	8 097 605	8 493 400
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 250 797	8 391 065	8 961 400
ზრდა	9 260 222	8 410 640	8 991 400
კლება	9 425	19 575	30 000
მთლიანი სალდო	-457 051	-293 460	-468 000
ფინანსური აქტივების ცვლილება	-483 841	-320 250	-496 000
კლება	483 841	320 250	496 000
ვალუტა და დეპოზიტები	483 841	320 250	496 000
ვალდებულებების ცვლილება	-26 790	-26 790	-28 000
ზრდა	0	0	0
საშინაო	26 790	26 790	28 000
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსულობები	24 305 907	25 981 701	30 481 500
შემოსავლები	24 296 482	25 962 126	30 451 500
არაფინანსური აქტივების კლება	9 425	19 575	30 000
გადასახდელები	24 789 747	26 301 951	30 977 500
ხარჯები	15 502 736	17 864 521	21 958 100
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 260 222	8 410 640	8 991 400
ვალდებულებების კლება	26 790	26 790	28 000
ნაშთის ცვლილება	-483 841	-320 250	-496 000

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 30 451 500 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსავლები	24 296 482	25 962 126	30 451 500
გადასახადები	15 382 649	17 085 507	19 471 500
გრანტები	8 330 251	8 355 506	10 124 000



სხვა შემოსავლები	583 582	521 112	856 000
------------------	---------	---------	---------

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 19 471 500 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
გადასახადები	15 382 649	16 690 800	19 471 500
გადასახადები ქონებაზე	403 035	400 000	450 000
გადასახადები უძრავ ქონებაზე	403 035	400 000	450 000
ქონების გადასახადი	403 035	400 000	450 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	329 309	367 000	417 000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 844	3 000	3 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	7 339	0	0
ფიზიკური პირებიდან	6 280		0
იურიდიული პირებიდან	1 059		0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	61 543	30 000	30 000
ფიზიკური პირებიდან	3 933	2 000	2 000
იურიდიული პირებიდან	57 610	28 000	28 000
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	14 979 614	16 290 800	19 021 500
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	14 979 614	16 290 800	19 021 500
დამატებული ღირებულების გადასახადი	14 979 614	16 290 800	19 021 500
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	5 615 192	4 514 300	5 842 000
იმპორტირებული პროდუქციიდან	9 364 422	11 776 500	13 179 500

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები (ტრანსფერები)

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 124 000 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8 330 251	8 355 506	10 124 000
მიმდინარე	1 575 337	2 251 297	2 474 000
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	0	200 000	374 000
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	0	200 000	374 000



მიზნობრივი ტრანსფერი			374 000
სხვა		200 000	0
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	1 575 337	2 051 297	2 100 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1 575 337	2 051 297	2 100 000
სპეციალური ტრანსფერი	1 575 337	2 051 297	2 100 000
კაპიტალური	6 754 914	6 104 208	7 650 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	6 754 914	6 104 208	7 650 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	6 754 914	6 104 208	7 650 000
კაპიტალური ტრანსფერი	6 754 914	6 104 208	7 650 000

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 856 000 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
სხვა შემოსავალი	583,582.28	831,400.00	856,000.00
შემოსავალი საკუთრებიდან	213,566.70	374,400.00	357,000.00
პროცენტი	129,340.84	212,400.00	210,000.00
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	129,340.84	212,400.00	210,000.00
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	129,340.84	212,400.00	210,000.00
რენტა	84,225.86	162,000.00	147,000.00
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	82,760.86	154,000.00	144,000.00
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	15,000.00	12,000.00	12,000.00
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	41,408.29	74,000.00	90,000.00
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	120.00	28,000.00	17,000.00
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	370.00		0.00
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	25,862.57	40,000.00	25,000.00
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,465.00	8,000.00	3,000.00
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	43,970.72	92,000.00	77,000.00
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	27,810.17	67,000.00	57,000.00



სახეპარტოვო მოსაკრებლები	4,797.30	35,000.00	30,000.00
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	4,797.30	35,000.00	30,000.00
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23,012.87	32,000.00	27,000.00
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	16,160.55	25,000.00	20,000.00
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	16,160.55	25,000.00	20,000.00
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	16,160.55	25,000.00	20,000.00
სანქციები, ჯარიმები და საურავები	41,618.59	66,000.00	72,000.00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	32,368.59	50,000.00	29,000.00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	4,204.51	13,000.00	6,000.00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	2,409.90	6,000.00	5,000.00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	19,194.59	31,000.00	18,000.00
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	18,759.59	26,000.00	15,000.00
უბილეთო მგზავრობის გამო	60.00		0.00
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	375.00	5,000.00	3,000.00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელშეყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	6,420.00	0.00	0.00
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	139.59	0.00	0.00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	9,000.00	9,000.00	7,000.00
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	250.00	7,000.00	36,000.00
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284,426.27	299,000.00	350,000.00
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284,426.27	299,000.00	350,000.00
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284,426.27	299,000.00	350,000.00
სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1,606.50	0.00	0.00



შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	4,972.86	0.00	0.00
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	277,846.91	299,000.00	350,000.00

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 21 956 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
ხარჯები	15 496 386	17 862 821	21 956 000
შრომის ანაზღაურება	5 950 429	6 881 806	8 402 790
საქონელი და მომსახურება	3 388 352	3 846 412	4 795 070
პროცენტი	9 788	5 265	8 500
სუბსიდიები	2 773 961	3 118 151	4 015 200
სოციალური უზრუნველყოფა	1 491 465	1 843 415	1 714 800
სხვა ხარჯები	1 882 390	2 167 771	3 019 640

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8 961 400 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8 991 400 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	290 700	1 004 918	355 950
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	114 933	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7 474 498	5 744 910	5 991 800
დასუფთავება და გარემოს დაცვა	172 252	258 378	0
განათლება	138 287	82 714	53 950
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	963 852	1 054 075	2 211 100
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	220 633	265 645	378 600
სულ ჯამი	9 375 154	8 410 640	8 991 400

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	9 425	30 000	30 000
ძირითადი აქტივები	6 125	10 000	10 000
არაწარმოებული აქტივები	3 300	20 000	20 000
მიწა	3 300	20 000	20 000

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 30 949 500 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ კრილში, მათ შორის:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 283 628	5 638 124	6 446 000
7,11	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 155 041	4 581 381	6 073 000
7,111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 155 041	4 581 381	5 909 700
7,112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	163 300
7,16	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	9 788	5 265	8 500
7,18	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	118 799	1 051 478	364 500
7,2	თავდაცვა	114 933	0	0
7,21	სამოქალაქო თავდაცვა	114 933	0	0
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	4 151 897	2 910 967	2 946 100
7,42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	7 899	12 799	13 000
7,421	სოფლის მეურნეობა	7 899	12 799	13 000
7,45	ტრანსპორტი	3 772 397	2 393 052	2 363 700
7,451	საავტომობილო ტრანსპორტი	3 772 397	2 393 052	2 363 700
7,47	ეკონომიკის სხვა დარგები	371 601	505 116	569 400
7,473	ტურიზმი	371 601	505 116	569 400
7,5	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 472 054	1 798 140	2 011 600
7,56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის	1 472 054	1 798 140	2 011 600



	სფეროში			
7,6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5 026 699	4 397 785	5 050 200
7,62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 432 398	1 849 307	2 068 500
7,63	წყალმომარაგება	1 312 678	1 555 383	1 691 700
7,66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 281 622	993 096	1 290 000
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	863 584	969 286	1 148 300
7,76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	863 584	969 286	1 148 300
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 956 851	3 620 480	5 484 300
7,81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	711 046	1 649 345	1 767 900
7,82	მომსახურება კულტურის სფეროში	2 245 805	1 971 135	3 716 400
7,9	განათლება	3 820 672	4 103 634	4 886 300
7,91	სკოლამდელი აღზრდა	2 860 216	2 996 081	3 461 800
7,98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	960 456	1 107 553	1 424 500
7 10	სოციალური დაცვა	2 072 639	2 836 745	2 976 700
7 107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	30 969	31 476	32 000
7 109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2 041 670	2 805 269	2 944 700
	სულ ბიუჯეტის გადასახდელები	24 762 957	26 275 161	30 949 500

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 468 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 28 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 163 100 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა
2025 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.



თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

პრიორიტეტი:

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობით სფეროში განხორციელებული პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტი ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას, წარმოადგენს მასას და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს.

მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებით მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში, რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია მოქმედი თუ შემოსული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ საგრანტო კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც საშუალებას აძლევს მოიგოს პროექტი და განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პროექტი. აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია თანამედროვე მართვის სისტემის საფუძვლების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
01 02 04 01	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
01 02 07	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლება
01 02 08	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა

პრიორიტეტი:



2. ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01). პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდეები, მილხიდეები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გზების ადაპტირებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოეწყობას საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტებთან, გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი საგზაო ინფრასტრუქტურა ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, მათ შორის შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები :

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
02 01 02	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)
02 01 03	მთებზე მოიალადეთა ტრანსპორტირება
02 01 04	ბურღვა აფეთქება
02 01 05	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა
02 01 06	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02). მუნიციპალიტეტისი განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

წყლის სისტემების მოწყობა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა გენდერულად მნიშვნელოვანია. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუძლავთ საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს საადმინისტრაციო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგოებისა და ბიჭებისთვის, ასევე ქალი და კაცი მასწავლებლებისა და დასაქმებული პერსონალისთვის.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი წყალმომარაგების სისტემა, რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

ქვეპროგრამა: წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შეძენას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 01 01	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
02 02 01 02	სოფელ ზენდიდის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 03	სოფელ ახოს ნაჭავარის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 04	სოფელ ახოში ბაზალეთის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა
02 02 01 05	სოფელ ახოში მერვენახის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა
	სოფელ ოქტომბრის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი



02 02 01 06	რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 07	სოფელ კვაშტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა

- **ქვეპროგრამა: შპს ქედის წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 02).** მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვას.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, ქლორირება და ფილტრაცია. გაუმჯობესებულია წყალმომარაგების მომსახურება, უზრუნველყოფილია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება და მოვლილია კანალიზაციო და სანიაღვრე არხები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

პროგრამა: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03). პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი საზოგადოებრივი სივრცეები და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო.

ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01). პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
02 03 01 02	სოციალური სახლის მშენებლობა
02 03 01 03	სოფელ კორომხეთში სოფლის სახლის მშენებლობა

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო; რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

- **პროგრამა:** ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02). გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სტიქიისგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალური და კერძო საკუთრება და ათვისებული ახალი ტერიტორიები.

- **პროგრამა:** მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04). მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ზემოაღნიშნული სამუშაოების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. 2024 წლისათვის დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას.
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
---	-----------------------------------



02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05). მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია; ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი
02 09	„გომის“ მთის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა
02 10	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა

პრიორიტეტი

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება



მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები ასევე სკვერებში ბალახის გათიბვა

პროგრამა: მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 00). პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით დანერგილია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა და უზრუნველყოფილია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება

პრიორიტეტი:

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 00). „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის ან სხვა საფასურის შემოღება.



შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 490 და მეტი ბავშვი. (მათ შორის გოგო 50.8 %, ბიჭი 49.2%). ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 255 აღმზრდელი (მათ შორის ქალი 88 % და კაცი 12 %), სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქედის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

-ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება

საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.

პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.

04 00	განათლება
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება
04 01 02	საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.

პროგრამა.



ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომლებსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვთ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, ამასთან მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნის ან მედალოსნის კანდიდატის სტატუსი.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

იმ აბიტურიენტთა დახმარება, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებენ სახელმწიფო (50 %, 70%, 100 %) გრანტს და ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება
-------	--

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების წახალისება.

პრიორიტეტი:

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს-ების მიერ.



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდთაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთვანების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. რეგიონალური სპორტული შეჯიბრება. სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელება და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, გამოვლენილია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და წახალისებულია სპორტული მიღწევები.



პროგრამა: სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. 1. სარაგბო კლუბ „ფირალების“ საქართველოს რეგიონალურ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრა. აგრეთვე, რაგბისა და ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით მეტი ახალგაზრდის მოზიდვა რაგბისა და ფეხბურთის ასაკობრივ გუნდში, რაც ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდისა და ძირითადი გუნდის ქედის სპორტსმენებით დაკომპლექტების წინაპირობაა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 03 02	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები
05 01 03 03	ააიპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა; უზრუნველყოფილია რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

პროგრამა: სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04). ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია
05 01 04 01	სოფელ აქუცაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია
05 01 04 02	სოფელ ხარაულაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაცია
05 01 04 03	დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
05 01 04 04	მთა სასადილოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა
05 01 04 05	მთა ნაკონაღვარში მინი სპორტული მოედნის მოწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განახლებული მინი სპორტული მოედნები.

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)



ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.

კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/ (ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები, მასტერკლასები)

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია, ქედის მუნიციპალიტეტის ტრადიციული სამხარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება).

საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება, დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი
05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა
05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი
